საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია
შემოსული № 4572/07
«06» 08 2019 წ.
შუახევი 3 ქობულეთი 1 ხელოვანი 2

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №93

2019 წლის 5 აგვისტო ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქობულეთის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №5 დადგენილებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქობულეთის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს, პროექტების დასაფინანსებლად გამოეყოთ 1 358 585 (ერთი მილიონ სამას ორმოცდათვრამეტი ათას ხუთას ოთხმოცდახუთი) ლარი, აქედან:

ა) ქობულეთის მუნიციპალიტეტს 650 000 (ექვსას ორმოცდაათი ათასი) ლარი, თანახმად №1 დანართისა;

ბ) შუახევის მუნიციპალიტეტს 308 585 (სამას რვა ათას ხუთას ოთხმოცდახუთი) ლარი, თანახმად №2 დანართისა;

გ) ხულოს მუნიციპალიტეტს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარი, თანახმად №3 დანართისა.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) მოახდინოს შესაბამისი მიზნობრივი დაფინანსება.

3. ქობულეთის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერიებმა (მ. ქათამაძე,

თანხების მიზნობრივ განკარგვაზე და უზრუნველყოს დაფინანსებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე

თორნიკე რიქვაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
2019 წლის 5 აგვისტოს №93 განკარგულების
დანართი №2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან შუახევის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების ჩამონათვალი

#	დასახელება	თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	ხიჭაურის ცენტრის კეთილმოწყობა	172,878	
2	ხიჭაურის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა	71,707	
3	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	64,000	
	სულ	**308,585**	

სწორია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქმისწარმოების დეპარტამენტი № 1